# ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი "------" ----------- 2025 წ.

ერთის მხრივ, შპს ასია ნეტ-ი (ს/კ 445779818), წარმოდგენილი მისი დირექტორების ალი ჩანგას (პ/ნ 61491005949) და დოღუქან ქალიონჯი (პ/ნ 61691014451) სახით, შემდგომში «მიმწოდებელი», და მეორეს მხრივ

| | |
|---|---|
| აბონენტი | |
| პირადი ნომერი | |
| მისამართი | |
| საკ. ტელეფონი | |
| აბონენტის ნომერი | |

შემდგომში «აბონენტი», და ორივე «მხარეებად» წოდებულნი, მოქმედებენ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ აბონენტისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის მიწოდება პაკეტი 15 დან 20 მეგაბიტამდე.

## 2 მხარეთა უფლება მოვალეობანი

2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევისათვის უზრუნველყოს საკომუნიკაციო ქსელის მოწყობა და მასზე კლიენტის მიერთება, ამასთან "მიმწოდებელი" პასუხს აგებს ქსელის გამართულ მუშაობაზე დემარკაციის წერტილამდე.
- დროებით სარგებლობაში (ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში) გადასცეს აბონენტს საჭირო დამაბოლოებელი მოწყობილობები, მხარეთა შორის შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- მიაწოდოს აბონენტს ინტერნეტ ტრაფიკი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 48 საათის განმავლობაში.

2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

2.2.1. შეზღუდოს აბონენტის ქსელში მუშაობა თუ:

- აბონენტი არაკანონიერი გზით ცდილობს მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ტრაფიკი.
- აბონენტი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.
- აბონენტი იყენებს ან ცდილობს გამოიყენოს სატელეკომუნიკაციო საშუალებები არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება.

2.2.2. მოსთხოვოს აბონენტს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

2.2.3. შეცვალოს მომსახურეობის ტარიფი და ამის შესახებ არანაკლებ თხუთმეტი დღით ადრე აცნობოს აბონენტს მისთვის ხელმისაწვდომი გზით.

2.3. «მიმწოდებელი» პასუხს არ აგებს იმ ზარალისათვის, რომელიც შესაძლოა მიადგეს აბონენტს მის სისტემაში მესამე პირის შეღწევის შედეგად.

2.4. "მიმწოდებლის" მოვალეობა შემოიფარგლება მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების უზრუნველყოფით.

2.5. "მიმწოდებელი" პასუხს არ აგებს აბონენტის ისეთ ქმედებაზე, რომელიც კანონსაწინააღმდეგოა და არღვევს სხვა აბონენტის (აბონენტთა) ინტერესებს, ასევე მოქმედი სამართლის ნორმებს.

2.6. აბონენტი ვალდებულია:

- დამოუკიდებლად უზრუნველყოს დემარკაციის წერტილიდან თავისი ქსელის გამართული მუშაობა.
- გამართულ მდგომარეობაში იქონიოს მასზე წინამდებარე ხელშეკრულებით გადაცემული დამაბოლოებელი მოწყობილობები და პასუხს აგებს მის დაზიანებაზე.
- დამაბოლოებელი მოწყობილობების დაკარგვის ან დაზიანების (მათ შორის ფიზიკური, ტექნიკური, ელ. ენერგიის ცვალებადობა, ელ-ჭექი და სხვა) შემთხვევაში აანაზღაუროს მათი ღირებულება.
- ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში "მიმწოდებელს" დაუბრუნოს დამაბოლოებელი მოწყობილობები გამართულ მდგომარეობაში სარგებლობის, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით ან გადაიხადოს მისი ღირებულების საფასური.

- არ დაუშვას მესამე პირების თვითნებური მიერთება ხელშეკრულებით გადაცემულ დამაბოლოებელ მოწყობილობებზე ან/და დანიშნულების წერტილიდან სხვა წერტილში თვითნებური გადაყვანა/გადატანა.
-

2.7. აბონენტი უფლებამოსილია

- საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლოს ინტერნეტ მომსახურეობით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნისათვის, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.
- განცხადების საფუძველზე მოითხოვოს მომსახურეობის შეჩერება არაუმეტეს 6 (ექვსი) კალენდარული თვის ვადით.

## 3. ფასები და ანგარიშსწორების წესი

3.1. აბონენტი ინტერნეტ-მომსახურეობის ჩართვიდან 2 (ორი) დღის ვადაში იხდის პირველი თვის სააბონენტო გადასახადს.

3.2. მიწოდებული ინტერნეტ-მომსახურეობის ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი შეადგენს ______________ (________________) ლარს, რომელსაც აბონენტი იხდის წინასწარ და გადახდის თარიღი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის დასაწყისს.

3.3. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს აბონენტს შეუწყვიტოს ინტერნეტ-მომსახურეობის მიწოდება და აღდგენის შემთხვევაში აბონენტი იხდის თვის დარჩენილი დღეების გადასახადს, თუ გადახდა მოხდება იმავე თვის საანგარიშო პერიოდში. ხოლო მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურების აღდგენას გადახდიდან მომდევნო 24 საათის განმავლობაში.

3.4. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მხრიდან მომსახურეობის მიწოდება შეჩერდა 24 საათზე მეტი ხნით ხდება საფასურის გადაანგარიშება, რაც აისახება მხარეთა შორის სამომავლო ანგარიშსწორებაში.

3.5. ანგარიშსწორება ხორციელდება როგორც ნაღდი ისე უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

## 4.ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

4.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ერთი წლით გაგრძელდება ყოველ მომდევნო წელს თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.3. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, აბონენტის მხრიდან ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, იგი მიმწოდებელს უკან უბრუნებს დამაბოლოებელ მოწყობილობებს გამართულ მდგომარეობაში ან გადაუხდის მისი ღირებულების საფასურს.

4.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

4.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ხუთი საბანკო დღის განმავლობაში მხარეები ახორციელებენ საბოლოო ანგარიშსწორებას.

4.6. აბონენტის მიერ ზედიზედ 1 (ერთი) თვის განმავლობაში სააბონენტო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და დაიბრუნოს დამონტაჟებული დამაბოლოებელი მოწყობილობები გამართულ მდგომარეობაში.

**4.7.** ნებისმიერი პირობით ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს აბონენტის მიერ საავანსოდ გადახდილი თანხა უკან არ დაუბრუნოს აბონენტს, რაც ჩაითვლება, როგორც ხელშეკრულების შეწყვეტის კომპენსაცია.

## 5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

5.1.1. დაუძლეველი ძალა მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი და ა.შ.);
- ხანძარი, დივერსიები, ხელისუფლების არამართლზომიერი გადაწყვეტილება;
- საომარი მოქმედებები;
- სხვა მოვლენები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს.
- მოქმედი კანონმდებლობის იმგვარი ცვლილება, რომლის გამოც შეუძლებელი ხდება აბონენტისათვის მომსახურეობის მიწოდება.

## 6. დავის გადაწყვეტა

6.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავების, ურთიერთ-პრეტენზიებისა და უთანხმოებების გადაწყვეთა ხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული მაშინ დავა გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიეცეს აღსასრულებლად.

## 7. სხვა პირობები

7.1. ყველა არსებული და შესაძლო დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
7.2. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ცვლილება, გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების გაუქმებასა და ბათილობას.
7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

## 8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| | |
|---|---|
| შპს “ასია ნეთ” | აბონენტი |
| ს/კ: 445779818 | |
| დირექტორი: | |
| --------------------------- | ---------------------- |

საბანკო რეკვიზიტები:
სს ”საქართველოს ბანკი”
ა/ნ: GE62BG0000000609272699

# მიღება - ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი "-

**--------" ---------------- 2025 წ.**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, **ერთის მხრივ, შპს ასია ნეთ-ი** (ს/კ **445779818), წარმოდგენილი მისი დირექტორების ალი ჩანგას (პ/ნ 61491005949) და დოლუქან ქალიონჯი (პ/ნ 61691014451) სახით, შემდგომში მიმწოდებელი, და მეორეს მხრივ აბონენტ**მა ______________________ პ/ნ _______________________ მცხოვრები ბათუმი, ________________________________, შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ თანახმად № ხელშეკრულებისა, მიმწოდებელმა ჩააბარა, ხოლო აბონენტმა მიიღო საექსპლოატაციოდ ინტერნეტ მომსახურეობის მისაღებად საჭირო დამაბოლოებელი მოწყობილობა, კერძოდ:

1. მოდემი
2. კვების ბლოკი

**შპს "ასია ნეთ"** **აბონენტი**

**ს/კ: 445779818**

**დირექტორი:**

---------------------------